სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ნანა ციხისთავი
ისტორიის დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის
აფილირებული ასოცირებული პროფესორი

კულტურული მემკვიდრეობა, ისტორია, ლეგენდები – კულტურული და მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის

ანოტაცია

კულტურული მემკვიდრეობა, ისტორია, ლეგენდები გახლავთ ის მნიშვნელოვანი ერთობლიობა, რაც ქმნის ერთიან ხედვას თანამედროვე პირობებში მდგრადი კულტურული ტურიზმის განსავითარებლად.
მდგრადი ტურიზმის ხელშემწყობი ფაქტორი ბევრია, მათ შორისაა, კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიის, ლეგენდების მიმართულებები, რაც ასაზრდოებს და სანახაობრივთან ერთად ემოციურ მუხტს აძლევს ტურიზმის განვითარების პერსპექტივას.
ამ თვალსაზრისით, გვინდა შევეხოთ დედოფლისწყაროს კულტურულ მემკვიდრეობას, როგორიცაა ხორნაბუჯის ციხე, მისი წარმომავლობის ისტორია და იქ დატრიალებული ისტორიული რეალიები მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ასევე, ამ ამბებთან დაკავშირებული ლეგენდაც, რაც, თავის მხრივ, სულ სხვა დატვირთვას აძლევს ხსენებულ ძეგლს და კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის საინტერესო საფუძველს ქმნის, როგორც სამომავლო კულტურული ტურიზმის პროდუქტი.
საინტერესო ურთიერთმიმართებაა ლეგენდასა და ოფიციალურ ისტორიას შორის, უფრო მეტად საინტერესოა დაპირისპირების ძირითადი მიზეზი და ასევე, ნამდვილი სურათი, კარგი საშუალებაა საიმისოდ, რომ ხელოვანები დაინტერესდნენ და ვიზუალური დატვირთვა მისცენ ამ სიუჟეტს. აქ რამდენიმე ისტორიული ფიგურის ცხოვრება და მოღვაწეობაა გაშლილი: დავით ულუ, ჯიგდა-ხათუნი, მესტუმრე ჯიქური, თორღვა პანკელი. ყველა მათგანი ისტორიკოსების, მწერლებისა და სახალხო მთქმელების, ანუ ზეპირი მეისტორიეების ყურადღების ცენტრშია და სხვადასხვანაირად არიან შეფასებულნი.
ამგვარად, სახეზეა უდავოდ საინტერესო კულტურული მემკვიდრეობა თავისი ლეგენდითა და ისტორიით, რაც კარგად ერწყმის კულტურული ტურიზმისა და, ზოგადად, მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის კონცეფციას. შესაძლოა, ამ მაგალითმა საფუძველი ჩაუყაროს ტურიზმში ასეთ მიმართულებას, რაც სხვა ძეგლებზეც აისახება და შესძენს უფრო მეტ სახალისო და ვიზუალურ დატვირთვას.

საკვანძო სიტყვები: კულტურული მემკვიდრეობა, კულტურული და მდგრადი ტურიზმი, ტურიზმის პროდუქტი.

კულტურული მემკვიდრეობა, ისტორია, ლეგენდები გახლავთ ის მნიშვნელოვანი ერთობლიობა, რაც ქმნის ერთიან ხედვას თანამედროვე პირობებში მდგრადი კულტურული ტურიზმის განსავითარებლად.

კულტურული ტურიზმი მოიცავს ტურიზმის ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სოციალური მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან. თანახმად საერთაშორისო ტურიზმის ექსპერტთა დასკვნისა, საქართველოში ტურიზმის სახეების განვითარების კუთხით კულტურულ ტურიზმს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. მსოფლიოს ხალხებმა რომ იარსებონ, საჭიროა გამოავლინონ შემოქმედებითი ძალები და საუკუნეებს გადასცენ თავიანთი ისტორიის კვალი. კულტურული მემკვიდრეობა ეს ის ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიზნის მიღწევას, აერთიანებს რა წარსულს, აწმყოსა და მომავალს, წარმოადგენს განვითარების საფუძველს.[1]

კულტურული და საგანმანათლებლო ტურიზმის წარმოშობა და განვითარება განუყოფლად არის დაკავშირებული კულტურული ფასეულობების გაცნობიერების წარმოშობის ისტორიასთან, მათი სისტემატიზაციის აუცილებლობის აღიარებასთან და დაცვის წესების შემუშავებასთან. მთელ მსოფლიოში არის ტენდენციები, გადახედოს ბუნებას და კულტურულ მემკვიდრეობას, რაც ასოცირდება საერთო საინფორმაციო სივრცის შექმნის გლობალურ პროცესებთან. ტენდენცია არის კულტურული მემკვიდრეობის გადაადგილება სოციალური ცხოვრების უპირატესად დეკორატიული ელემენტის სფეროდან თანამედროვე ცივილიზაციის ძირითად ღირებულებამდე. ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლები მნიშვნელოვან წილს იკავებენ მსოფლიოს კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობაში. ისინი მხარს უჭერენ პლანეტის ბუნებრივ და კულტურულ მრავალფეროვნებას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქვეყნისა და მთლიანად ადამიანური ცივილიზაციის მდგრად განვითარებაში.[2] მდგრადი ტურიზმის ხელშემწყობი ფაქტორი ბევრია, მათ შორისაა კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიის, ლეგენდების მიმართულებები, რაც ასაზრდოებს და სანახაობრივთან ერთად ემოციურ მუხტს აძლევს ტურიზმის განვითარების პერსპექტივას.

ყოველივე ზემოთქმული შესაძლოა კარგად „შეიფუთოს“ და ტურისტული პროდუქტის სახით მოგვევლინოს, რამაც აუცილებლად უნდა მოახდინოს გავლენა ადგილობრივი ბაზრის განვითარებაზე დასაქმებისა და პროდუქციის რეალიზაციის სახით.

ამ თვალსაზრისით, გვინდა შევეხოთ დედოფლისწყაროს კულტურულ მემკვიდრეობას, როგორიცაა ხორნაბუჯის ციხე. იგი უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს და ასევე გვაძლევს საინტერესო საშუალებას, რომ გამოვიყენოთ მისი ნარატივი, როგორც თანამედროვე კულტურული ტურიზმის განსავითარებლად, ასევე ადგილობრივი ეკონომიკის წასახალისებლად.

ამ კუთხით გამოდგება ხორნაბუჯის ციხე, მისი წარმომავლობის ისტორია და იქ დატრიალებული ისტორიული რეალიები მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ასევე ამ ამბებთან დაკავშირებული ლეგენდაც, რაც, თავის მხრივ, სულ სხვა დატვირთვას აძლევს ხსენებულ ძეგლს და კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის საინტერესო საფუძველს ქმნის, როგორც სამომავლო კულტურული ტურიზმის პროდუქტი.

ხალხის მეხსიერება ხალხური ხელოვნების ერთადერთი არქივია. ყოველი ხალხური გადმოცემა შეიცავს მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციას ერის ისტორიული მეხსიერების შესახებ, იქნება ეს ეპიკური თქმულება, ლეგენდა, ლექსი, ზღაპარი, სიმღერა თუ სხვა ნებისმიერი ფოლკლორული ჟანრი. ასევე თქმულება — ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი ჟანრი, უპირატესად რეალისტური მოთხრობა გარდასულ ამბავზე, ზოგჯერ შეთხზული ამბავიც უძევს საფუძვლად. გვხვდება, როგორც პროზაულ, ისე ლექსად ან შერეული სახით. პროზაული თქმულება გადმოცემასა და ლეგენდას უკავშირდება. ქართულ ფოლკლორში თქმულებათა დიდი ნაწილი ისტორიული ხასიათისაა. ლეგენდაც და თქმულებაც ხალხური მეხსიერების

[1] კულტურული ტურიზმი და მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის აქტუალური საკითხები **ნაირა გალახვარიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო.

[2] https://btet.ru/ka/migration-registration/folklornyi-turizm-o-specifike-i-mnogoobrazii-folklora/

ნაწილია, შესაბამისად აქვს არსებობის უფლება რამეთუ გამოხატავს ხალხის მიერ გადმოცემულ ამბავს, რომლის შინაარსიც შეიძლება სრულიად წინააღმდეგობრივი იყოს, ვიდრე ისტორიულად დასაბუთებული ამბავი.

ინოვაციების ეპოქაში აქტუალობას არ კარგავს კულტურული ტურიზმი, დღეს ციფრული ინდუსტრიის გამოყენებით უამრავი ძეგლი თუ ადგილი გახდა დაუვიწყარი შთაბეჭდილების მიღების წყარო. ციფრულმა ტექნოლოგიებმა ტურიზმის ინდუსტრია გახადა ბევრად უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ვიზიტორებისთვის. მსოფლიოში უამრავი მაგალითი არსებობს თუ როგორ შეძლო ახალი სიცოცხლის შეძენა სხვადასხვა ადგილმა გაციფრების (დიგიტალიზაციის) შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მაგალითები საკმაოდ საინტერესოა, საქართველოს მაგალითზე უნდა ითქვას, თუ როგორ შეიძლება ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ადგილი გახადო ადგილობრივებისთვის და ტურისტებისთვის საინტერესო და დაუვიწყარი, ასევე საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი რესურსი.

საქართველოში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი აღადგინეს. მუზეუმში ახალი ტექნოლოგიების საშუალებით ბარათაშვილის ჰოლოგრამაა წარმოდგენილი, რომელიც კითხულობს სხვადასხვა ლექსებს, ასევე აუდიო გიდისა და **D** ინსტალაციების საშუალებით წარმოდგენილია ლექსები, მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დეტალები. სწორედ ასეთი მუზეუმის გაკეთებას გვთავაზობს დაცული ტერიტორიების სააგენტოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან მჭირდრო თანამშრომლობით, რათა მოხდეს ხორნაბუჯის ისტორიული რეალობისა (ასევე პანკისის, იგივე თორღვას ციხის) და მასთან დაკავშირებული ლეგენდის დიგიტალიზაცია, რაც არამატერიალური კულტურული მემკვდრეობის ცნობადობას გაზრდის როგორც ტურისტული თვალსაზრისით, ისე საგანმანათლებლო კუთხითაც. შესაძლებელია ამან თავისი გამოხატულება ჰპოვოს ტურიზმის ინდუსტრიისა და კერძო ბიზნესის განვითარებისათვის სხვადასხვა სახის ნაწარმის გამოშვებით არა მხოლოდ დედოფლისწაყაროს რაიონში, არამედ ახმეტის რაიონშიც, სადაც მდებარეობს ეს ორი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – ხორნაბუჯი და თორღვას ციხე-სიმაგრე.

ხორნაბუჯი მდებარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ქალაქიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში. იგი საქართველოს ერთ-ერთ უძველეს და ულამაზეს ციხე-ქალაქს წარმოადგენს. თვითონ ციხის მთავარი ციტადელი მიუვალ კლდეზეა გაშენებული. აქედან ულამაზესი ხედები იშლება ალაზნის ველზე. არქეოლოგიური გამოკვლევები ადასტურებს ამ ადგილას დასახლების არსებობას, ჯერ კიდევ წინარექრისტიანულ ხანაში, ძვ.წ. IV-III სს-ში. ქალაქ ხორნაბუჯის განვითარება V ს-დან იწყება და ვახტანგ გორგასლის სახელთან არის დაკავშირებული. მან აქ საეპისკოპოსო კათედრაც დააფუძნა, ხოლო თვით ქალაქი თავის ვაჟს, დაჩი უჯარმელს უბოძა. ციხე-ქალაქი სავაჭრო გზაზე მდებარეობდა. VI ს-დან იგი ქართლის ერისთავებს ეკუთვნოდა, ხოლო VIII ს-დან – ჰერეთის სამთავროს. XI ს-დან ფეოდალთა გვარის – მახატლისძეთა რეზიდენციას და გაერთიანებული საქართველოს განაპირა საერისთავოს ცენტრს წარმოადგენდა. XII ს-ში, თამარ მეფის დროს, ქალაქი კვლავ განიცდის დიდ აღმავლობას რის გამოც, ციხეს დღესაც თამარის ციხეს უწოდებენ.

ბექა ყაენის დამანგრეველი შემოსევის შემდეგ, XIII ს-ში, ქალაქური ცხოვრება აქ მოიშალა და აღარც განახლებულა. თუმცა ხორნაბუჯის ციხეს თავისი საფორტიფიკაციო ფუქცია არ დაუკარგავს. XV ს-ში იგი განაახლა ალექსანდრე კახთა მეფემ, ხოლო შემდგომში, XVII ს-ში ფეიქარ ხანის რეზიდენცია იყო და 1625 წელს კი გიორგი სააკაძემ დაუბრუნა საქართველოს. ამჟამად აქ შემორჩენილია შიდა ციხის კედელ-გოდოლები, გვირაბები, წყალსაცავები, მრავალრიცხოვანი გადასასვლელი დერეფნები და კიბეები.

1837 წელს ხორნაბუჯის ციხესიმაგრე უნახავს და დაუხატავს რუს პოეტს მიხეილ ლერმონტოვს. საქართველოში ყოფნის დროს ხორნბუჯი დაათვალიერა დიდმა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ.

მაღალ კლდეზე განლაგებული ციტადელი ახლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.[1]

ხორნაბუჯი კახეთის ერთ-ერთი მხარის – ქიზიყის მშვენებაა. ხოლო ქიზიყის შესანიშნავი ეთნოგრაფიული დახასიათება მოცემული აქვს სტეფანე მენთეშაშვილს და ლეგენდებთან ერთად ეთნოგრაფიული მიმართულებაც ფრიად მნიშვნელოვანია მდგრადი ტურიზმის განსავითარებლად და ქიზიყის თავისებურებების გასათვალისწინებლად: ქიზიყში პატარ-პატარა ეზოები აქვთ, რადგან მოსახლეობა ერთ ადგილასაა შეჯგუფული, „ბურთივით შეკრული", რის მიზეზიც სრულიად სამართლიანად ხშირი მტრიანობის გამო თავდაცვაზე ზრუნვაა მიჩნეული. იშვიათ შემთხვევაში მოზრდილი ეზოებიც ჰქონიათ, დღიურის ან ნახევარ დღიურის ოდენა. ეს კი იმით იყო გაპირობებული, რომ ესა თუ ის კომლი ამოწყვეტილი ბიძაშვილის წილს დაეპატრონა. სტეფანე მენთეშაშვილის დახასიათებით ქიზიყელთა მეურნეობა დაქსაქსული, სპეციალიზებული იყო. გლეხი მეცხვარეობას ერთ ადგილას აწარმოებდა თავისი წესრიგით (მომთაბარეობა), მეძროხეობას მეორე ადგილას სხვა ყაიდაზე, მემინდვრეობას „სხვაგან სხვა ჯურად", მევენახეობას კიდევ სხვაგან და სხვა ყაიდაზე და მებოსტნეობასაც სხვა პირობებში. სოფელი კი, როგორც აღინიშნა, სრულიად ცალკეა. ერთი ოჯახი ზემოთ ჩამოთვლილი მეურნეობის ყველა დარგს აწარმოებდა და თითოეული საქმისათვის ცალკე ოჯახის წევრი ჰყავდა მიჩენილი, ზოგჯერ რამდენიმეც და არცთუ იშვიათი იყო მწყემს-მოჯამაგირის დაქირავება.

ქიზიყში უწინ ძირითადად ბანიანი სახლები ჰქონიათ (ეძახდნენ მიწურ სახლსაც), რომლის შინაგანი მოწყობილობა შემდეგნაირი იყო: ძველებურ სახლებს კედლებში დატანებული ჰქონდა ქვეშაგების შესანახი წალოები, ბარგის შესანახი საბარგეები, სასკივრეები – სკივრის დასადგმელად, კიდობნები, ჭურჭლის დასაწყობი განჯინები, წარამარა სახმარი ნივთების შესანახი თახჩები. ძველად წალოებს ფარდაც ჰქონდა ჩამოფარებული, მხოლოდ გვიან დაიწყეს მისთვის კარების გაკეთება.

ნაირგვარი იყო ისტორიულად ქართველი ხალხის კვებითი კულტურა, მათ შორის ქიზიყშიც, სადაც ფხლის შეჭამანდისათვის იხმარებოდა შემდეგი მცენარეები: ხაჭიჭორა მხალი, შავჩოხა, ყაყაჩო მხალი, წოწნარა მხალი, ჭინჭარი, ჭინჭრისდედა, ნაცარქათამა, ბოლოკა მხალი, ღოლო, ბალბა, დანდური, ქათმის კუჭეჭა. კახეთში ძველად ისეთი კერძებით იკვებებოდნენ, როგორიცაა "შვინდის შეჭამანდი", "ხირხიტო", "ზღმარტლის შეჭამანდი", ღვინის "თხლის შეჭამანდი", "პურის ხაშის მახუხი".[2]

ამგვარად, ეთნოგრაფიული მონაცემებიც მდიდარ მასალას გვაძლევს, რათა ხორნაბუჯის ციხის და საერთოდ ისტორიული ქიზიყის ყოფით გარემოზე გვქონდეს წარმოდგენა. აქედან გამომდინარე ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარების საშუალებაც, რაც აღნიშნულ ტერიტორიას, ქიზიყს, უფრო მეტ ფასეულობას შესძენს და ტურისტული თვალსაზრისით მრავალფეროვანს და ორიგინალურს გახდის.

მეცამეტე საუკუნეში, 40-50-იან წლებში, ლაშა-გიორგის ვაჟის-დავით ულუს კარზე ისტორიაში ცნობილი დაპირისპირება მოხდა, რასაც ისტორიკოსების შეფასებები მოჰყვა და იმავდროულად ლეგენდაშიც აისახა. ამ ლეგენდას ზოგადად ჯიგდახათუნის შურისძიებასაც უწოდებენ. განსხვავებულია ლეგენდისა და ოფიციალური ვერსიის შინაარსი, რომელზეც გვექნება საუბარი. ლეგენდის თანახმად და ზოგიერთი წყაროს ვერსიით, საქართველოს მონღოლმა დედოფალმა-ჯიგდახათუნმა (დავით ულუს მეუღლემ) მოაკვლევინა თავის მსახურ მესტუმრე ჯიქურს თორღვას

[1] იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" (ქც 4: 28,9; 114,9; 146,6; 151,17; 181,3; 214,23; 215,1; 525,3; 541,21,23,სქ.1,3,4; 542,13; 547,17; 557,7; 561,16), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა" (ქც 1: 199,4,16), მატიანე ქართლისა (ქც 1: 298,7; 312,5-7), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა" (ქც 1: 373,18), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" (ქც 2: 61,10), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია" (გორგიჯანიძე 1926: 24, 26), XVII ს-ის ისტორიული საბუთი (საქ. სიძ. 1909: 73), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა" (ხერხეულიძე 1913: 276), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა" (ბაგრატიონი 1986: 67), თეიმურაზ I-ის მოსკოვში ელჩობის საოქმო ჩანაწერები (ჩანაწერები ... 1965: 447; მასალები რუსეთ-საქართველოს ... 1965: 462), ისქანდერ მუნშის თხზულება (მუნში 1969: 125).

[2] როლანდ თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ. 2002 წ.

ციხის ერისთავი – თორღვა პანკელი. იგი იყო ქართველი ფეოდალი, კახეთის გამგებელი XIII საუკუნის 40-იან წლებში, კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე. კოხტასთავის შეთქმულება — ქართველ დიდებულთა შეთქმულება მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ დაახლოებით 1245 წელს მოხდა ჯავახეთში. მონაწილეობდნენ ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორღვა პანკელი, გამრეკელ თორელი, სარგის თმოგველი და სხვები.[1]

პავლე ინგოროყვა ამტკიცებს, რომ შოთა რუსთაველი იყო კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე. იგი იყო არამარტო დიდებული პოეტი, არამედ დიდი ეროვნული, საზოგადო მოღვაწეც. იმ დროს, როცა მეფე აღარა ჰყავს საქართველოს, წინამძღოლი ერისა ხდება შოთა რუსთაველი. ასეთ გარემოცვაში გახლავთ თორღვა პანკელი კოხტასთავის შეთმულების დროს და შემდგომ პერიოდში მას ღალატი ბრალდება.

დავით VII ულუმ ბათო-ყაენის ურდოში გამგზავრების წინ კახეთი თორღვა პანკელს ჩააბარა და დედოფალ ჯიგდა-ხათუნსა და მესტუმრე ჯიქურს დაუმორჩილა. რაკი დავითს შეაგვიანდა, თორღვა პანკელს ეგონა, რომ იგი აღარ დაბრუნდებოდა განუდგა მას და კახეთის დასაკუთრება მოინდომა.

დავით VII-ის დაბრუნების შემდეგ შეშინებულმა თორღვა პანკელმა ვერ გაბედა მეფესთან მისვლა. ის ფიცით მიინდვეს და უვნებლობა აღუთქვეს, მაგრამ მერე ჯიქურის ბრძანებით კლდეკარიდან გააგდეს.[2] ეს ოფიციალური ვერსია გახლავთ.

დავით ულუს პირველ ცოლად ჰყავდა მონღოლთა ნოინის ასული – ჯიგდა-ხათუნი, რომელიც მას, ალბათ, დიდ ურდოში ყოფნისას მოაყვანინეს, როცა მეფედ დასამტკიცებლად იყო იქ წასული.

დიდი საჩუქრებით გაემგზავრა დავით ლაშას ძე ჩრდილოეთისკენ. სასახლეში კი უფროსად დატოვა თავისი მეუღლე, დედოფალი ჯიგდა-ხათუნი და მესტუმრე – ჯიქური, ანუ ქვეყანა მათ ჩააბარა. დავით ნარინი – დავით ულუს მამიდაშვილი და თანამეფე, ამ დროს უკვე ქუთათისში იყო გადასული და დასავლეთ საქართველოს აკონტროლებდა.

მესტუმრე ჯიქური ძალიან ნიჭიერი და მეფის ერთგული პიროვნება ყოფილა. მას სამეფოში ისეთი წესრიგი დაუმყარებია, რომ თურმე აღარ არსებობდნენ მპარავები და ავაზაკები და, თუ სადმე გამოჩნდებოდნენ, ძელზე ჰკიდებდნენ.

მეფის კარზე მესტუმრის (მესტუმრეთუხუცესის) სახელო, ანუ თანამდებობა, არ იყო სავაზირო, ანუ ერთ-ერთი უმაღლესი სახელო. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მესტუმრე არ იყო მთავრობის წევრი, ის ვაზირ მანდატურთუხუცესის ერთ-ერთ თანაშემწედ ითვლებოდა.

მესტუმრის მოვალეობაში შედიოდა სასახლეში უცხოელი ელჩების მიღება, გამგზავრება და სხვა. მემატიანე ჯიქურს „მესტუმრეს" უწოდებს. ალბათ, ჯიქური მესტუმრეთუხუცესი, ანუ, სხვა მესტუმრეების ხელმძღვანელი იყო. როგორც ჩანს, ჯიქური არ ყოფილა დიდგვაროვანი, მაგრამ, მეფეს დაუახლოებია და, ფაქტობრივად, სახლთუხუცესის უფლებებიც ჩაუბარებია მისთვის და პირველი ვაზირისაც, რადგან ის განაგებდა თურმე სასახლესაც და სამეფოსაც. არადა, წესით, მეფეს, ქვეყნიდან გამგზავრების შემთხვევაში, მწიგნობართუხუცესისთვის უნდა ჩაებარებინა სამეფო. მესტუმრე ჯიქური ძალიან ეხმარებოდა ქვეყნის გაღატაკებულ მოსახლეობას და უბრალო ხალხში პოპულარულიც ყოფილა.

რეგენტები – ყაენის გარდაცვალებიდან ახალი ყაენის არჩევამდე ან ყაენის საომრად გამგზავრებისას.

დედოფალი ჯიგდაც ძალიან ენერგიული ქალი ბრძანდებოდა და აქტიურად ერეოდა ქვეყნის მართვაში. საერთოდ, მონღოლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქალის რჩევებს და ხშირად დედოფლები მართავდნენ ხოლმე საყაენოს როგორც იმ ხანებში, დედოფლის ბრძანებით, ჯიქურს ისანში აუშენებია ახალი სასახლე. მასვე დაუმორჩილებია და დაუხარკავს ფხოველები – აქ იგულისხმება სახელმწიფოსთვის დაქვემდებარება: ქვეყნის ყველა კუთხის წარმომადგენლები

[1] პავლე ინგოროყვა – "რუსთაველიანა" , თბ.1926 წ. https://modernarrative.wordpress.com/

[2] http://georgianencyclopedia.ge

ვალდებული იყვნენ, გადასახადები გადაეხადათ და ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში მიეღოთ მონაწილეობა, მით უმეტეს, რომ სამეფო იძულებული იყო, ხარკი გაეგზავნა მონღოლებისთვის და მათი არმიისთვის ქართული ჯარი მიეშველებინა.

ყაენთან წასვლამდე მეფემ სხვადასხვა კუთხე ჩააბარა ადგილობრივ დიდებულებს. კახეთი ჩაუბარებია ახალგაზრდა თორღვა პანკელისათვის და უბრძანებია, დედოფლის ბრძანებებს დაემორჩილეო.

გაემგზავრა დავით ლაშას ძე ბათოსთან. ბათო ყაენმა დიდი პატივით მიიღო და, რაც სთხოვა ჩვენმა მეფემ, აუსრულა. დავით ულუ კარგა ხანს იმყოფებოდა ურდოში. ეგონა თურმე თორღვას, აღარ დაბრუნდება მეფეო და გამაგრებულა პანკისის ციხეში, რომელსაც მერე „თორღვას ციხე" უწოდეს; დაიკავა კახეთი და აღარ მორჩილებდა დედოფალსა და მესტუმრე ჯიქურს. **დაუმორჩილებლობის მიზეზი უცნობია, შესაძლოა, დაბალი წარმოშობის ჯიქურის მბრძანებლობას ვერ იტანდა. არის სხვა ვერსიაც: ლეგენდის მიხედვით, ახალგაზრდა თორღვა ჯიგდა-ხათუნს მოსწონებია, მაგრამ მეფის ღალატი და შეურაცხყოფა ვერ იკადრა პანკელმა და ამიტომ არ ემორჩილებოდა ჯიგდასა და ჯიქურსო. იმასაც ამბობდნენ, ჯიგდა ჰყვარობდა ჯიქურს და ამიტომ მოხდა მისი დაწინაურებაო. ეს ლეგენდებია, უფრო – ვარაუდები, მემატიანე კი მხოლოდ თორღვას დაუმორჩილებლობასა და სახელმწიფოს მართვაში ჯიქურის ნიჭზე, ასევე, მეფისადმი ჯიქურის ერთგულებაზე და უბრალო ხალხის, ღარიბ-ღატაკებისა და ქვრივ-ობლების მიერ ჯიქურისადმი სიმპათიაზე მოგვითხრობს.**

XIII საუკუნის 40-იან წლებში პანკისის ციხეში დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა პანკისის ერისთავმა თორღა (თორღვა) პანკელმა. ის კოხტასთავის ანტი-მონღოლური შეთქმულების მონაწილე იყო. მეფე დავით VII ულუს ურდოში ყოფნის დროს, თორღვამ სეპარატისტული პოზიციები გაიმაგრა, თავი კახეთის სრულუფლებიან გამგებლად გამოაცხადა და პანკისის ციხეში გამაგრდა. მეფის დაბრუნების პირობებშიც განაგრძო ურჩობა, არ ეახლა მას და ციხე უფრო გაამაგრა. ამიტომ ის ციხიდან გამოიტყუეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. როგორც ჩანს, თორღვა დიდი გავლენით სარგებლობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში და ის მართლაც ძაგანისძეთა საგვარეულოს წარმოადგენდა. სახელი თორღვა (თორღვა ძაგანი) ლეგენდებსა თუ ხალხურ გადმოცემებშია შემორჩენილი. მონღოლთა პერიოდში ამ შტოს კვლავ აღზევება და პანკელი ერისთავების რანგში მომძლავრებაც არ უნდა იყოს დიდი უცნაურობა. თუმცა წყაროების სიმცირის გამო თორღა პანკელის პიროვნების და მისი მემკვიდრეობის გარშემო მსჯელობა გართულებულია. ფაქტი ერთია, მის პერიოდში პანკისის ციხე გაძლიერდა და დიდი მნიშვნელობა შეინარჩუნა. კონკრეტულად ამ ციხის გარდა, თორღვას სახელი სხვა ბასტიონებს და ტოპონიმებსაც უკავშირდება რეგიონში.[1] ჯიგდა-ხათუნის შურისძიებაზე ამახვილებს ყურადღებას თავის ნაშრომში მე-19 საუკუნის 20-იან წლებში მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი: ,,ამის შემდეგ საქართველოს ბედიც და უბედობაც ქალების ხელშია. მეფეებს ისე ატრიალებენ, როგორც ენებებათ. მათ გაიტაცეს თავიანთ მაგალითით მონგოლთ ქალებიც. აი რაებსა სჩადის ჯიგდახათუნი,სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ მეფე თავის ჯარებით ყაენთან წავიდა: რადგან დაებარებინა. სამეფოს გამგეობა მან ჩააბარა თავის ცოლს და პირველს ვეზირს ჯიქურს. ეს კაცი მეფის ძლიერ ერთგული იყო და ქვეყნის კარგად გამგეც. მის დროს ქურდი და ავაზაკი არ მოიპოვებოდა სამეფოშიო, ამბობს მატიანე. ამანვე აღუშენა მეფეს „ისანთა პალატი", რადგან სამეფოს დიდი შემოსავალი ჰქონდა მისივე „ჯიქურისა მეცადინეობით." მაგრამ ვერც ეს კაცი გადურჩა დედაკაცის გავლენას. ჯიგდა-ხათუნის ბრძანებით იმან დაიჭირა კახეთის გაღმა მხრის მთავარი თორღუა, გატეხა ფიცი, წააყვანინა კლდეკარს და კლდეზე გადააჩეხინა თვინიერ მეფის ცნობისა. დედოფალი ათამაშებს მეფეს, როგორც ენებება.[2]

საინტერესო ურთიერთმიმართებაა ლეგენდასა და ოფიციალურ ისტორიას შორის, უფრო

[1] http://wikimapia.org/33077189/ka/%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A6

[2] ისტორიული სურათები ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან და ქართველი ქალი მღ. დიმ. ჯანაშვილისა გორი მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა „ქართლი". 1814 მღ. დიმიტრი ჯანაშვილი. http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/5175/4/istoriuli%20suratebi.pdf იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 393.

მეტად საინტერესოა დაპირისპირების ძირითადი მიზეზი და ასევე ნამდვილი სურათი, კარგი საშუალებაა საიმისოდ, რომ ხელოვანები დაინტერესდნენ და ვიზუალური დატვირთვა მისცენ ამ სიუჟეტს. აქ რამდენიმე ისტორიული ფიგურის ცხოვრება და მოღვაწეობაა გაშლილი: დავით ულუ, ჯიგდა-ხათუნი, მესტუმრე ჯიქური, თორღვა პანკელი. ყველა მათგანი ისტორიკოსების, მწერლებისა და სახალხო მთქმელების, ანუ ზეპირი მეისტორიეების ყურადღების ცენტრშია და სხვადასხვანაირად არიან შეფასებული. ამგვარად, სახეზეა უდავოდ საინტერესო კულტურული მემკვიდრეობა თავისი ლეგენდითა და ისტორიით, რაც კარგად ერწყმის კულტურული ტურიზმისა და ზოგადად მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის კონცეფციას. შესაძლოა ამ მაგალითმა საფუძველი ჩაუყაროს ტურიზმში ასეთ მიმართულებას, რაც სხვა ძეგლებზეც აისახება და შესძენს უფრო მეტ სახალისო და ვიზუალურ დატვირთვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კულტურული ტურიზმი და მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის აქტუალური საკითხები ნაირა გალახვარიძე ,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო. https://doi.org/10.35945/gb.2017.03.028
2. https://btet.ru/ka/migration-registration/folklornyi-turizm-o-specifike-i-mnogoobrazii-folklora/
3. იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 28,9; 114,9; 146,6; 151,17; 181,3; 214,23; 215,1; 525,3; 541,21,23,სქ.1,3,4; 542,13; 547,17; 557,7; 561,16), ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (ქც 1: 199,4,16), მატიანე ქართლისა (ქც 1: 298,7; 312,5-7), სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ (ქც 1: 373,18), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქც 2: 61,10), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე 1926: 24, 26), XVII ს-ის ისტორიული საბუთი (საქ. სიძ. 1909: 73), ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“ (ხერხეულიძე 1913: 276), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 67), თეიმურაზ I-ის მოსკოვში ელჩობის საოქმო ჩანაწერები (ჩანაწერები ... 1965: 447; მასალები რუსეთ-საქართველოს ... 1965: 462), ისქანდერ მუნშის თხზულება (მუნში 1969: 125).
4. როლანდ თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ. 2002 წ.
5. პავლე ინგოროყვა – “რუსთაველიანა” , თბ.1926 წ. https://modernarrative.wordpress.com/
6. http://georgianencyclopedia.ge
7. http://wikimapia.org/33077189/ka/%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A6
8. ისტორიული სურათები ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან და ქართველი ქალი მღ. დიმ. ჯანაშვილისა გორი მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“. 1814 მღ. დიმიტრი ჯანაშვილი.
   http://dspace.gela.org.ge/bitstream/123456789/5175/4/istoriuli%20suratebi.pdfიხ. ქართ. ცხოვ. გვ. 393.